ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4583858

ნომერი: AR1686108

თარიღი : 05.07.2019

გაცემის თარიღი : 11.07.2019

გაცნობის თარიღი : 09.08.2019

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თვალჭრელიძე , IV შესახვევი N1-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ირაკლი სულაძე პ/ნ 01011047389
- თბილისი მეტეხის ქ. N 20

ნომენკლატურა :

- საწყობი
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ირაკლი ქამადაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 61002008933

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 4515299
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 3.06.2019

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია რომლის პასუხად გაცნობებთ:

1. საინფორმაციო დაფა - ბანერი. :
წარმოსადგენია მშენებლობის ნებართვის საინფორმაციო დაფა, რომელიც უნდა განთავსდეს თვალსაჩინო ადგილას.
საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტია A2 ზომის ფორმატი.
სამშენებლო დოკუმენტში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება, რომელიც ცვლის საინფორმაციო დაფაზე განთავსებული ინფორმაციის არსს, უნდა განთავსდეს საინფორმაციო დაფაზე.
საინფორმაციო დაფა უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
ა) შენობა-ნაგებობის მისამართი;
ბ) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო და განაცხადის განხილვის ვადები;
გ) დამტკიცებული მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში
ასახული ინფორმაცია, კერძოდ:
დ) შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება;
ე) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნომერი და თარიღი, რომლითაც დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
ვ) შენობა-ნაგებობის სართულიანობა ან/და გაბარიტები.
ზ)ინფორმაცია არქიტექტურული პროექტის შეთანხმების თაობაზე განცხადების შეტანის შესახებ.
თ) ინფორმაცია არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ.

შენიშვნა:
საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ აღნიშნული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.
2. მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი:
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-81 დადგენილებით შეტანილ იქნა ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-50 დადგენილებაში. კერძოდ აღნიშნული დადგენილების მოქმედი რედაქციის მე-5 პუნქტის თანახმად მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს ახალასაშენებელი ობიექტის პროექტით გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის თითოეული კვადრატული მეტრისათვის 4 (ოთხი) ლარს, ხოლო საკურორტო ზონაში სამრეწველო ობიექტის მშენებლობისათვის – 5 (ხუთი) ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა წარმოდგენილ იქნეს შესაბამისი მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

3. მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი.:
მშენებლობის ეტაპების თარიღებზე გაწერა არასწორია. საჭიროა წარმოადგინოთ გონივრულ ვადაზე (მიუთითოთ საერთო ხანგრძლივობაც) გაწერილი სამშენებლო ეტაპების გრაფიკი, კალენდარული თვეების მიხედვით (მაგ. I თვე; II თვე და ა. შ.).

4. დამკვეთის ინფორმაციის ველებში შეივსოს ორგანიზაციის ველებიც შპს "ლგ ჯგუფის" მონაცემებით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.